მას სიცოცხლის ყველა გამოვლინება უყვარდა

ჰკითხეთ ნებისმიერ ადამიანს, ვინც ქალბატონ კლარა ბარათაშვილს იცნობდა, როგორი იყო იგი, რა ფასეულობებს აღიარებდა, რა უყვარდა და რა სძულდა, რაზე ოცნებობდა და მზად იყავით იმისთვის, რომ თითქმის ყველა ერთნაირად დაგიხასიათებთ მას: გულისხმიერი, ენერგიული, მიზანსწრაფული, შემართული, კეთილმოსურნე, საღად მოაზროვნე, პრინციპული, შემოქმედი, ხალისიანი, შრომისმოყვარე... ნათქვამს ისღა უნდა დავუმატოთ, მისი ახლობლები სევდანარევი ღიმილით რომ დასძენენ, კლარას ძალიან უყვარდა ადამიანები, თეატრი, ლიტერატურა... მარწყვი – სიცოცხლის ყველა გამოვლინებაო, და ისიც, თავად მან მამასთან, ლიტიფშაჰ ბარათაშვილთან ერთად მომზადებული წიგნის ბოლოსიტყვაობაში რომ დაწერა: „ჩემი ძირითადი შემოქმედება ჩემი ცხოვრებაა, განვიცადე დევნა, ვშიმშილობდი, მციოდა, ვავადმყოფობდი და მიჭირდა. კარგად ვიცი პროგრესის ფასი. დიდია განსხვავება სამშობლოდან შორს და მშობლიურ მიწაზე ყოფნას შორის. უცხო მხარეში შენთვის მხოლოდ აწმყო არსებობს. შინ კი წარსულიც გაქვს და მომავალიც, გრძნობ კავშირს მშობლიურ მიწასთან, პოულობ შენს ფესვებს და ამაოდ არ ირჯები სხვა სამყაროების ძიებაში, შეიცნობ საკუთარ თავს და იმკვიდრებ შენს ადგილს სამყაროში“. თუმცა კლარა ბარათაშვილის, როგორც პიროვნების და მოღვაწის, თავისი სახელოვანი მამის შვილის პორტრეტი არც მაშინ იქნება ბოლომდე სრულყოფილი, როცა ზემოთ წარმოდგენილს მისი პეტერბურგელი ამხანაგის მიერ დანახულ მეტად საგულისხმო შტრიხს დავუმატებთ, მის შესავსებად ის მაინც მნიშვნელოვანია. აი როგორ იგონებს მას მისი მეგობარი ბატონი ანდრეი ზინჩუკი: „...კლარას ყოველთვის გამოარჩევდით ლენინგრადის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის სტუდენტებს შორის ვესტიბიული იქნებოდა ეს, თუ ლექციები და კრებები, იმ ღიმილით, რომელიც თითქმის არასდროს სცილდებოდა სახიდან, იმ საოცარი მჩქეფარე ენერგიით, მთელი მისი არსება რომ ასხივებდა. ასეთი რამ მხოლოდ შეყვარებულ ადამიანებს გამოარჩევს. კლარა კი სულ შეყვარებული იყო. ვინ და რა უყვარდა მას? – ყველა და ყველაფერი! ყველაფერი კარგი: რასაც და ვისაც თავის ირგვლივ ხედავდა და ისმენდა: ნიჭიერი ადამიანები, ლიტერატურა“...

ღიმილი თითქმის არასდროს სცილდებოდა სახიდანო, — იხსენებს კლარა ბარათაშვილის ლენინგრადელი მეგობარი, საქართველოში, მის ერთადერთ სამშობლოში კი, ყველამ, ვისთანაც კი მას ურთიერთობა ჰქონია, იცოდა, რომ არცთუ იშვიათად ამ ღიმილს მკაცრი, წარბშეკრული, სევდიანი, დაფიქრებული გამოხედვა სცვლიდა. ეს მაშინ ხდებოდა, როდესაც ის მამულიშვილობის მცნების გამრუდებული გააზრების ყრუ კედელს აწყდებოდა, როდესაც ავისმსურველთა მიერ შეთხზული, ქართველი ადამიანის ეროვნული თვითშეგნების გამანადგურებელი განსაზღვრება — „თურქი მესხი“ დიდ გულისტკივილთან ერთად მის აღშფოთებასაც იწვევდა, როდესაც სამშობლოში დაბრუნებულ თანამოძმეთა ტკივილიან ამბებს ისმენდა და სრულიად ქართველთათვის წერდა მათ შესახებ იმის იმედით და რწმენით, რომ საზოგადოება თავს დააღწევდა გაურკვევლობის ბურანს და „თურქი მესხების“ დამღით ნიშანდებულ ქართველებს თანამოძმეებად აღიქვამდა და აღიარებდა.

შევეცადოთ, ისტორიული რეალობების გათვალისწინებით, პირუთვნელად, სათანადოდ შევაფასოთ ამ მრავალმხრივ საინტერესო, გამორჩეული პიროვნების ნაღვაწ-ნაშრომი, თავისი სახელები დავარქვათ იმას, რასაც ის საკუთარი მამის ანდერძის ერთგულებით აკეთებდა იმისთვის, რათა სამშობლოს იძულებით მოწყვეტილ, ღირსებაშენარჩუნებულ მესხებს საქართველო ერთადერთ სამშობლოდ აღექვათ და ხელისუფალთა პოლიტიკური თამაშების თუ ბოლომდე გაუგებარი ავი ზრახვა-ჩანაფიქრის ხორცშესხმის შედეგად მიყენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილი დაეცხროთ და სახელოვანი წინაპრების მსგავსად, დიდებული ისტორიული წარსულის მქონე მესხეთში, საქართველოს ერთ-ერთი თვალწარმტაცი და უძველესი დროიდანვე მნიშვნელოვანი კუთხის მიწა-წყალზე ეცხოვრათ, ეშრომათ, გამრავლებულიყვნენ, საკუთარი წვლილი შეეტანათ სრულიად ქართველობის ერთადერთი სამშობლოს — საქართველოს წინსვლა-განვითარებასა და გაძლიერებაში. დადიოდა კლარა ბარათაშვილი სოფელ-სოფელ, სტუმრობდა აზერბაიჯანსა თუ საქართველოში მესხების ოჯახებს, ისმენდა, წერდა და აქვეყნებდა მათ ისტორიებს იმის იმედით და რწმენით, რომ საზოგადოება გააცნობიერებდა როგორ, რატომ, რომელი ისტორიული ბედუკულმართობის გამო იქცნენ მათი თანამემამულეები „თურქ მესხებად“. წლების შემდეგ, მამასთან ერთად მოშზადებულ წიგნში კლარა ბარათაშვილი დაწერს: „... მამას მთელი ბრძოლა სამშობლოში დაბრუნებისთვის ჩემ თვალწინ მიმდინარეობდა. ჩვენ ამ ბრძოლის ატმოსფეროში გავიზარდეთ. ათასნაირი კრებები, გრძელ-გრძელი საუბრები, მამაჩემის წასვლა-წამოსვლა, მიმართვები, წერილები, მოწოდებები, აურაცხელ ვარიანტად ჩვენი ჩამოუყალიბებელი ხელითაც რომ იწერებოდა — ეს ყველაფერი ბავშვობიდან ვიცოდი და ისიც ვიცოდი, რომ ეს სერიოზული, სამართლიანი საქმე იყო... დაჟინებით ვეძებდი ჩემს ადგილს გარშემო არსებულ სამყაროში და ვერ მეპოვა... მამა თანდათან მაცნობდა საქართველოს ისტორიას. საკუთარი თავის „პოვნა“ დავიწყე. ჩემში თანდათან იღვიძებდა პატრიოტიზმის გრძნობა. მაგრამ ეს გრძნობა არ იყო გამყარებული მშობელ ხალხთან ცოცხალი ურთიერთობით. ხალხი კი სადღაც, შუა აზიის უდაბნოებსა და მუღამის სტეპებში ცხოვრობდა, საიდანაც ჩვენ 1959 წლის ზაფხულში ჩამოვედით“. ბატონი ლატიფშაჰი გონებითაც აცნობიერებდა და გული-

თაც გრძნობდა საკუთარი შვილებისთვის მშობელ ხალხთან ცოცხალი ურთიერთობის აუცილებლობას, ამიტომაც იყო, რომ გულმოდგინედ აცნობდა მათ საქართველოს ისტორიას.

მამამ თბილისში, მთაწმინდაზე, პანთეონში დიდებულ წინაპართა საფლავები აჩვენა, მერე და მერე კლარა ხშირად ამოდიოდა აქ სულის დასამშვიდებლად.

აზერბაიჯანში, ქალაქ მინგეჩაურში, სადაც ლატიფშაჰ ბარათაშვილი ოჯახითურთ 1961 წელს დასახლდა, სკოლა რომ დაამთავრა (1968 წ.), კლარამ თბილისში, პედაგოგიურ ინსტიტუტში სცადა გამოცდების ჩაბარება, თუმცა დედის ავადმყოფობის გამო სათანადოდ ვერ მოემზადა და ვერ ჩაირიცხა, სამაგიეროდ ერთი წლის შემდეგ ბრწყინვალედ ჩაბარა გამოცდები და ლენინგრადის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა.

კლარა სწავლობდა არქიტექტურას და ფერწერას, ხშირად დადიოდა თეატრებსა და კონცერტებზე, საათობით იჯდა საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზებში, მეცადინეობდა, სამომავლო საქმიანობის საფუძველს იმზადებდა. თავისი გულმოდგინებით, გონიერებით, გვარით, წარმომავლობით, კეთილმოსურნეობით და... შეუდარებელი ღიმილით სამუდამოდ დაამახსოვრა თავი თანაკურსელებს, ლექტორებს, ნაცნობ-მეგობრებს... იმ წლებშივე დაებადა მამისეული არქივის მოწესრიგების და გამოსაცემად მომზადების აზრი... ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კლარა საქართველოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მამისეული არქივის მოწესრიგებას და მისი ნაშრომების გამოსაცემად მომზადებას მოჰკიდა ხელი, დაუკავშირდა უზბეკეთში, აზერბაიჯანში თუ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებში ჩარჩენილ მოძმეებს, რეგულარულად აკითხავდა საქართველოში დაბრუნებულ და სხვადასხვა რაიონებში დასახლებულ რეპატრიანტ მესხებს, ეცნობოდა მათ სატკივარს, პრობლემებს, ეხმარებოდა მათ გადაწყვეტა-მოგვარებაში.

აი, როგორ იხსენებს კლარასთან შეხვედრებს ოზურგეთის რაიონის სოფელ ნასაკირალში დამკვიდრებული ნური ხოსაძე: „კლარას ჩამოსვლა ახარებდა და ამხნევებდა ადამიანებს. ის ყველა ოჯახს ჩამოივლიდა, გამოიკითხავდა მათ საფიქრალ-საზრუნავს, ურჩევდა, უხსნიდა, როგორ შეიძლებოდა სირთულეების დაძლევა. ბევრს ესაუბრებოდა ბავშვებს, ინტერესდებოდა მათი სწავლით, აკითხავდა სკოლაში, ჩამოჰქონდა მათთვის წიგნები, რვეულები, საბავშვო ჟურნალები... კლარა დაგვეხმარა წყლის პრობლემის გადაჭრაში, სოფლის ქუჩების კეთილმოწყობის საკითხის გადაწყვეტაში, მისივე ხელშეწყობით გაიხსნა ჩვენს უბანში ბიბლიოთეკა... და ასე იყო არა მარტო ნასაკირალში, ქალბატონი კლარას ენერგიული მიზანმიმართული მოღვაწეობის სიკეთე საქართველოში დაბრუნებულ არაერთ მესხურ ოჯახს სწვდებოდა და ყოფილ საბჭოთა კავშირში ჩარჩენილ არაერთ მოძმესაც აღუძრავდა წინაპართა მიწაზე, ნამდვილ სამშობლოში დაბრუნების სურვილს, ეხმარებოდა მათ დაბრუნების გზებისა და საშუალების მოძიებაში.



კლარა ბარათაშვილის ინტერესების მრავალფეროვნებაზე, საგნების, მოვლენების, პიროვნებების არსის წვდომა-წარმოჩენის ნიჭსა და უნარზე მეტყველებს მის მიერ საქართველოში გამომავალ რუსულენოვან ჟურნალში „რუსკი კლუბ“ გამოქვეყნებული ნარკვევები, ინტერვიუები, ჩანახატები. იგი წერდა იმის შესახებ, რაც თავად აინტერესებდა და რაც აინტერესებდა ათასობით მკითხველს.

„... და აი, მე მესხეთში ვარ. აღელვებული დავდივარ ახალციხეში, სადაც ახალგაზრდა მამაჩემს უვლია, გავცქერი ნაძვნარითა და ფიჭვნარით შემოსილ მთებს, მოლურჯო ნისლით მოცულ ქედებს, ვუსმენ წყაროების რაკრაკს, გადმოვცქერი სახლების სახურავებს, ეკლესიას სამრეკლოთი და იქით — ჩვენს სოფლებს: უდეს, ვარხანს, არალს. ყველაფერი მამის მონათხრობიდან გაცოცხლებული ხილვა მგონია... ვეფერები ფიჭვებს, ყოჩაღად ავდივარ კლდეებზე, ვეწაფები წყაროს წყალს და ვგრძნობ, როგორ იღვრება ჩემში სასიცოცხლო ძალა და ეს ძალა ჩემი სამშობლოს ძალაა,“ — ასე აღწერს მესხეთში დასთან, თამარასთან ერთად პირველად ჩასული კლარა ბარათაშვილი თავის განცდებსა და შთაბეჭდილებებს წიგნში „ჩვენ მესხები“, საკუთარ დღიურში კი ის ჩაწერს: „რამდენი ქართული სახეა ჩემ გარშემო! უცნაურია: მათი უმრავლესობა ჩემთვის ძალიან მშობლიურია. გული მათკენ მიმიწევს. ზოგ მათგანს რომ ვუყურებ, მინდა მივიდე და გადავეხვიო, როგორც შინაურს, ნათესავს. აი, თურმე რა ყოფილა სისხლი...“ — აი, თურმე რა ყოფილა სისხლიო... ეს სისხლი იყო, მოძმეთა დასახმარებლად შემართულს ყველანაირ სიძნელეს რომ აძლევინებდა, „თურქი მესხების“ საკითხის გამრუდებულად დამნახველ ხელისუფლების წარმომადგენლებთან, თუ საქართველოს რიგით მოქალაქეებთან კამათში რომ ამარჯვებინებდა და ასე ბევრს აკეთებინებდა საქართველოში დაბრუნებული მესხების კეთილდღეობისთვის და არდაბრუნებულების დასაბრუნებლად...

ძმასთან, მარატთან ერთად კლარა ბარათაშვილი იყო ლტოლვილებთან და დროებით გადაადგილებულ პირებთან მუშაობის არასამთავრობო ორგანიზაციების კავკასიიის ქსელის თანადამფუძნებელი. ისინი იძულებით გადაადგილებული ადამიანების და უწინარესად თანამემამულეების პრობლემებზე საერთაშორისო დონეზეც თამამად და ხმამაღლა საუბრობდნენ. დევნილების, ლტოლვილების საკითხებზე სხვადასხვა დონეზე საუბარსა თუ კამათში ქალბატონი კლარა შესაშურ შეუპოვრობასა და უკომპრომისობას, საკითხის არსის ღრმად წვდომის უნარს ამჟღავნებდა. მას ყოველთვის ახსოვდა, რომ იყო არა უბრალოდ კლარა ბარათაშვილი, არამედ ლატიფშაჰ ბარათაშვილის შვილი.

მანანა ბილაშვილი